College Meridian

პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი

+995 511 400 303
ბათუმი, ჯავახიშვილის 4ა
www.meridiani.edu.ge
info@meridiani.edu.ge

კოლეჯი მერიდიანი

კოლეჯი მერიდიანი დაარსდა 2023 წლის 15 მაისს, იგი წარმოადგენს საზღვაო პროფილის პროფესიულ სასწავლებელს, რომელიც ორიენტირებულია განათლების ხარისხის განვითარებაზე

პროფესიული განათლება უზრუნველყოფს პირისათვის იმ კომპეტენციების გამომუშავებას, რომელსაც მოითხოვს კონკრეტული პროფესია ან შრომის ბაზარი და მიმართულია პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისაკენ მთელი ცხოვრების მანძილზე.

პროფესიული სტუდენტისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს, ისეთი ტერმინების არსი, როგორიცაა:

პროფესიული სტუდენტი - პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

მოდული - სასწავლო ელემენტი, რომელიც აერთიანებს ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს

კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება - კოლეჯისა და სტუდენტის უფლებამოვალეობების შესრულებისაგან დროებით გათავისუფლება, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - სტატუსის შეწყვეტა - სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე

მობილობა - პროფესიულ სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს პროფესიული კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

მიიღოს ხარისხიანი განათლება

ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით

მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები



თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული პოზიცია წარმოადგინოს სასწავლო პროცესის თაობაზე

შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში

ისარგებლოს მობილობის წესით

მოითხოვოს განმეორებით შეფასება მოდულის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში



ანონიმურობის დაცვით პერიოდულად შეაფასოს პროფესიული მასწავლებელი/ ინსტრუქტორი, ადმინისტრაციული პერსონალი და საგანმანათლებლო პროცესი

პროფორიენტაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერული მხარდაჭერის სამსახური

1 კოლეჯში სტუდენტების ადაპტირების ხელშეწყობა, სტუდენტთათვის კონსულტაციების გაწევა კოლეჯთან დაკავშირებულ საკითხებზე

2 შემეცნებითი და სპორტული საქმიანობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება, საქმიანობის პოპულარიზაცია და განხორციელების ხელშეწყობა

3 სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობა

4 დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა

5 უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

- პირადი განცხადება
- სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა
- სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა

- სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება

- კოლეჯის შინაგანაწესით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

- პირადი განცხადება;
- დისციპლინური გადაცდომა
- ყალბი დოკუმენტის არასწორი ინფორმაციის წარდგენა

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების არ დადასტურება

- პროფესიული სტუდენტის მიერ მეცადინეობების სისტემატური (პროგრამის ხანგრძლივობის მესამედი) გაცდენა (გარდა საპატიო მიზეზით გაცდენისა)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის მობილობა:

მობილობის უფლება აქვს ნებისმიერ პროფესიულ სტუდენტსა და პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში

შიდა მობილობა - პროფესიული სტუდენტის, ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან ამავე დაწესებულებაში სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის შემთხვევა

გარე მობილობა - პროფესიული სტუდენტის, ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევა

პროფესიული სტუდენტის შეფასება

შეფასება ორგვარია - განმავითარებელი და განმსაზღვრელი:

განმავითარებელი შეფასების მიზანია პროფესიული სტუდენტის მიღწევების განვითარება, რაც არ აისახება პროფესიული სტუდენტის საბოლოო შეფასების შედეგებზე

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- **სწავლის შედეგი დადასტურდა**
- **სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა**